# საქართველოს და ევროკავშირს შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობა



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია/საია
მისამართი: ჯ. კახიძის №15, თბილისი, www.gyla.ge

CIPDD

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი/CIPDD
მისამართი: წერეთლის გამზირი №72, თბილისი
www.cipdd.org

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



# რა არის არალეგალური მიგრაცია?

არალეგალური
მიგრაცია
გულისხმობს
კანონებისა და
წესების გვერდის
ავლით ერთი
ქვეყნის
დატოვებას და
მეორეში
შესვლას.



არალეგალური
მიგრანტი არის
პირი, რომელიც
არღვევს სავიზო
წესებს:

ქვეყანაში შედის
ვიზის (ან სხვა
ნებართვის)
გარეშე,

რჩება ვიზის
ვადის გასვლის
შემდეგ,

მუშაობას იწყებს
შესაბამისი
ნებართვის
გარეშე.



სავიზო რეჟიმის დამრღვევი პირი მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში ევროკავშირის ქვეყნებში ლეგალურად შესვლის უფლებას კარგავს.

ევროკავშირის ქვეყნებში შესვლის ნებართვის მიღებას ვერც სასწავლო თუ სამუშაო ლეგალური მოწვევა უზრუნველყოფს.



ევროკავშირის წევრ
ქვეყანაში
თავდაპირველად
კანონიერი შესვლა
არ გულისხმობს
ლეგალურად
დარჩენის
უფლებას!

იმიგრანტი,
რომლის ვიზას
ვადა გასდის,
არალეგალურად
ითვლება.
ქვეყანაში ლეგალურად
დარჩენას და
მუშაობის დაწყებას
ოფიციალური
ნებართვა სჭირდება!


ევროკავშირის
წევრ ქვეყნებში
სამუშაო უფლების
ნებართვის გარეშე
მუშაობის დაწყება
სავიზო რეჟიმის
დარღვევაა!
ეს დეპორტაციის
საფუძველს იძლევა.



ევროკავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით, არალეგალურად მყოფი მშობლების შვილს დაბადების ადგილის შესაბამისად მოქალაქეობა არ მიენიჭება!



არალეგალმა მიგრანტმა, რომელმაც სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა უნდა მიმართოს:

- საქართველოს საელჩოს ან საკონსულო დაწესებულებას

- ადგილსამყოფელი ქვეყნის საიმიგრაციო სამსახურს



საკონსულო დეპარტამენტის ცხელი ხაზი:

(995 32) 294 98 50 50
სამუშაო საათებში

(995) 577 98 40 20
არასამუშაო საათებში



ტრეფიკინგი არის ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება - ადამიანის ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაყვანა მუქარით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით.

**ტრეფიკინგის დამახასიათებელი ნიშნებია:**

•პიროვნებისთვის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევა

•გადაადგილების შეზღუდვა

•ახლობლებთან და ოჯახის წევრებთან კონტაქტის აკრძალვა.

ნუ ჩაიგდებთ თავს საფრთხეში! იყავით ინფორმირებულნი!



საიას საკონსულტაციო ცხელი ხაზი: (995 32) 299 50 76